

## სილვია პლათის ნარატიული სტრატეგიები ლექსების კრეატივის „კოლოსის“ მიხედვით

### ნანა გაგუა

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი*

ამერიკელი პოეტის სილვია პლათის ლექსების კრებული „კოლოსი“ (The Colossus) პირველად 1960 წელს დაიბეჭდა, გამომცემლობა Heinemann-ის მიერ. ნიგნი მეორედ, ამერიკის შეერთებულ შტატებში კომპანია ნოფ-მა გამოსცა. ხელახალ გამოცემას ათი ორიგინალური ლექსი დაემატა. პლათის ლექსებმა მალევე მოიპოვა აღიარება და ყურადღება. როდესაც, 1963 წელს გავრცელდა შოკისმომგვრელი ამბავი მისი თვითმკვლელობის შესახებ, უფრო ინტენსიურად დაიწყო კითხვა მისი ბოლოდროინდელი არაორდინალური ლექსებისა, რომლებიც 1965 წლის კრებულ „არიელში“ („Ariel“) დაიბეჭდა.

ბევრ ლექსს თან სდევს შიშის შეგრძნება, იზრდება ემპათია ცხოველების მიმართ, გასაოცარია, მაგრამ თვითმკვლელობა პერვერსიულ მოვლენად არის შეფასებული. „არიელი“ არ იყო ახალი მიმართულება ნიგნის ავტორისათვის, ეს იყო განხორციელება პოეტის დაუოკებელი ძიებისა, რომელიც თავის გზას ეძებდა დასაწყისიდანვე.

შესაძლოა, კრებული „კოლოსი“ The Colossus, მხატვრული თვალსაზრისით, იმავე დონეზეა როგორც „არიელი“, მაგრამ „არიელს“ აქვს სილვია პლათის ცხოვრების დასასრულის ჭვრეტის, ერთგვარი წინასწარმეტყველების ნიშანი. ეს ნათლად ჩანს, მაგალითად ერთ ფრაზაში “Two views of a Cadaver Room”, (Plath, 1998:5) მის საზარელ ექოში “Prufrock”: On their jars the snails-nosed babies moon and glow“. ზემოთქმული, სინამდვილეში ჩანს, მთელ ამ ლექსში. პირველი ორი ნაწილი ეძღვნება გოგონას ვიზიტს მორგში, სადაც ის ხედავს თუ როგორ მუშაობენ ბიჭები გვამზე. ბიჭებიდან ერთი მისი მეგობარია. ერთ-ერთი მას ანოდებს გულს. მეორე ნაწილში აღწერილია ომის სცენა, მაგრამ იქვე ახლოს შეყვარებულთა რომანტიკული სასიყვარულო სცენაა, პოეტი ანტითეზურად წარმოგვიდგენს სიკვდილისა და სიყვარულის დაპირისპირებას. იგი ცდილობს პირადი ცხოვრებისეული გამოცდილება დაუკავშიროს მორგში აღწერილ სურათს ან ზოგადად, ომის თემას. ლექსში “Suicide off Egg Rock”, სილვია რეკონსტრუქციას უკეთებს ლექსის პროტაგონისტის შეგრძნებას იმ წუთში, როცა ის იხრჩობოდა და როცა მისი სხეული უსულო საგანივით იყო.

უფრო სახასიათოა ლექსი “Hardcastle Crag”, აბსოლუტური განდგომა ქალაქისა და ურბანული ლანდშაფტისგან, ყოველგვარი თვითშეზღვევისა და

სენტიმენტალურობის გარეშე, მაგრამ ისეთივე კონკრეტული და კლდესავით ურყევი, როგორც ლექსში „The Stones“.

როცა ვიყენებთ სიტყვა „ხედვას“, პლათის ლექსებზე საუბრისას, ეს არის კონკრეტული და არა ფილოსოფიური გაგება. მისი შემოქმედების შედარებით პოზიტიური, დადებითი მხარე გამოჩნდა ბუნებით აღტაცებაში, ეს კარგად ჩანს მისი ლექსების ნათელ პასაჟებში. ბრწყინვალე მომენტი ასეთი აღტაცებისა გვხვდება ლექსის „The Eye-Mote“ დასაწყისში:

Blameless as daylight I stood looking  
At a field of horses, necks bent, manes blown,  
Tails streaming against the green  
Backdrop of sycamores.... (Plath, 1998:12)

„კოლოსის“ პირველი ლექსი ეძღვნება პოეტის დიდი ხნის წინ გარდაცვლილ მამას, შვილის სიძულვილს მის მიმართ და სიკდილის შეგრძნებას. პოეტური კრებული „კოლოსი“ გამოხატავს ავტორის რუტინულ სამუშაოს: ტექსტის გასუფთავებას და ფრაგმენტების, ნამსხვრევების შეგროვებას, რაიმეს შექმნას მთლიანობად. „კოლოსის“ ლექსები იკითხება, როგორც ერთი და განუყოფელი. მეორე ტომი ლექსებისა „არილი“ გვიამბობს პლათის მცდელობას შეურიგდეს დანაშაულს, მოკვდავობის ისტორიას (პირადსა და კაცობრიობისას). დედამინის განადგურება ადამიანის უვოციბით, მაშინ, როცა ის დამოკიდებულია მასზე, მასობრივი მკვლევლობები აუშვიცში, ბელსენში, დახაუში, მომაკვდინებელი მუქარები ატომური ბომბითა და რადიოაქტიური ნარჩენებით, ჰიროსიმასა და ნაგასაკის არაადამიანური განადგურება – ყველა ეს თემა აწუხებდა პლათს. ეს იყო მზერა საკუთარ სარკეში. ასაკთან ერთად მას აწუხებდა მამის, ოტო ემილ პლათისადმი, აღმოჩენილი ირაციონალური სიძულვილი. ოტო იყო გერმანული წარმოშობის ენტომოლოგი. პლათი გრძნობდა წყენას ქმრისადმი, ბრიტანელ პოეტ ტედ ჰიუზისადმი, ბრაზობდა დიასახლისის ნაძალადევი, თავსმოხვეული როლის გამო:

A living doll, everywhere you look.  
It can sew, it can cook,  
It can talk, talk, talk (Plath, 2004)

ამერიკაში, მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ასპარეზზე გამოსულ პოეტებს რამდენიმე საერთო მახასიათებელი აქვთ, საუკეთესო წარმომადგენლები წერენ ტექნიკურად სრულყოფილად, ინტელექტუალურად და გააზრებულად. თუმცა მათი წიგნების ნაკითხვის შემდეგ, მკითხველში უკმაყოფილების გრძნობა რჩება, განსაკუთრებით იმათში, ვისი გონება ჯერ ისევ ჩამოყალიბების პროცესშია. ახალგაზრდა პოეტებს, რომლებიც იზიარებენ 20-30 იანი წლების კონცეპტუალურ ჩარჩოს, წინამორბედები-

საგან განსხვავებით, არ გამოადგათ რაციონალური მიდგომები. ხშირად მათ პოეზიაში სამყარო არის სუბსტანციური ერთობა, ფიქრისა და პოეზიის გარეშე, სადაც არ არსებობს აზრთა ნაკადი, რომლებიც საგნებს ერთი მიმართულებით წაიყვანს. მსოფლიო პოეზიაში არსებობს ბევრი კარგი ლექსი (განსაკუთრებით ბრიტანელი პოეტებისა), რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებას ასახავენ. ეს ლექსები დანერილია მეტაფიზიკური და ფსიქოლოგიური დაკვირვებების შედეგად. ასევე ცნობილია ლექსები ემიგრანტის ან ტურისტის თვალთ დანახულ სამყაროზე (განსაკუთრებით ამერიკელი პოეტებისა რომზე, ფლორენციაზე და ა.შ.). ეს ლექსები რჩება პირადი ხასიათის ლექსებად და მნიშვნელოვან მოვლენას პოეზიისთვის არ წარმოადგენს. ბევრი პოეტი გრძნობს, რომ პროტესტი ჩვენი მგრძობელობის მდგომარეობის წინააღმდეგ უაზროა, ამიტომ ჯობია წერო იმაზე, რასაც გრძნობ (Wagner, 1984).

სილვია პლატის პირველ პოეტურ კრებულ „კოლოსში“ თითქმის ყველა ლექსი სრულყოფილია. პოეტი ოსტატურად ახერხებს ლექსის ფორმისა და ინტონაციის კონტროლს, რიტმული ვარიაციების შესაბამისობის დაცვას, ლექსიკის სწორად გამოყენებას და დაკვირვებას მოვლენებზე, რაც ხშირად გაოცებას იწვევს, მაგრამ ყოველთვის ზუსტია: “the waves/ spewed relics clicker masses in the wind, or (the place in laboratory), /”In their jars the snail-nosed babies moon and glow.” ლექსი „დაბადების დღისთვის“ (“Poem for a Birthday”), აღწერს ორსულობის შეგრძნებებს. ავტორს გაგონილი ჰქონდა ორსულთა ფერადი, გამორჩეული სიზმრების შესახებ და ამაზე გაბედულად წერდა. ლექსში „მეტაფორა“ ფოკუსირება ხდება სწორედ ორსულის მიერ განცდილ ემოციებზე, ვიზუალური აქცენტი გამოხატული და თვალშისაცემია. პოეტი ასახავს პერსპექტივას, გვიხატავს თავისივე მომავალ ცხოვრებას, რომელშიც მას ვხედავთ შინაბერად, მეძავად ან თვითმკვლელად. სილვია პლატის ადრეული პოეზია სავსეა ამგვარი ფობიებით.

სილვია პლატის ლექსების ანალიზისას ძირითადად გამოყენებულია ჰერმენევტიკული პრაქტიკა, რომელიც გაიაზრება, როგორც ნებისმიერი მხატვრული ტექსტის ახსნისა და განმარტების უნივერსალური მეთოდი. ლექსის ახსნა, განმარტება, გააზრება გულისხმობს რამდენიმე დონეზე მის წაკითხვას:

1. უნდა გაუგო რისი თქმა უნდა ავტორს;
2. უნდა გაუგო ლირიკულ გმირს;
3. უნდა გაუგო მხატვრულ სახეს.

სილვია პლატთან ავტორი და ლირიკული გმირი ხშირად სრულიად იდენტურია, პოეტისთვის ლექსი საკუთარი თავის გამოხატვის ყველაზე მძაფრი საშუალებაა. ის ყველაზე პერსონალური პოეტია ამ თვალსაზრისით. პოეზიით

ყველაზე კარგად შეიძლება, თვითმკვლელი პოეტი ქალის მისწრაფებების, სურვილების, ტკივილებისა თუ სასონარკვეთის გამოცნობა. მისი სულიერი მდგომარეობა ლექსის ინტონაციაში, განწყობაშიც იგრძნობა. სუბიექტურობა სილვია პლათის პოეზიისთვის სრულიად ბუნებრივი მდგომარეობაა, რაც ზოგადად ახასიათებს მეოცე საუკუნის ამერიკულ ლიტერატურას და რასაც საფუძველი უოლტ უიტმენმა ჩაუყარა, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს! პლათის ლექსების უმრავლესობისთვის უცხოა იმპერსონალურობა, პოეტის „მე“ მის შემოქმედებაში სხვადასხვა სახით და სხვადასხვანაირად ვლინდება!<sup>1</sup>

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ლექსი „ტიტები“, რომელშიც საოცარი თვინიერება, სიმშვიდის მიღება, ერთგვარი შემგუებლობა არის დახატული! საავადმყოფოს მშვიდი და ერთფეროვანი ცხოვრების საპირწონედ პოეტი ტიტებს წარმოადგენს: „ეს ტიტები მეტისმეტად აღმგზნებია, ჩვენთან ხომ ზამთარია“. თეთრი, როგორც ნეიტრალური, უძრაობის, უმოქმედობის ფერი უპირისპირდება სიცოცხლით სავსე წითელს. სილვია პლათისთვის არ არის უცხო ამბის მოყოლა პოეზიით. „ტიტებში“ პოეტი გვიყვება, რომ გარეთ მშვიდი ზამთარია, დათოვლილი, უძრაობისა და უმოქმედობის დრო, შიგნით კი, სავადმყოფოს სითეთრე:

„სიმშვიდეს ვსწავლობ, ვწევარ ჩემთვის, ისე უშფოთველად,  
როგორც შუქი აწევს ამ თეთრ კედლებსა და საწოლს, ამ ხელებს...“<sup>2</sup>

პოეტისთვის ეს არ არის ჩვეული გარემო, აქ უჭირს თვითიდენტიფიკაცია, გაუცხოებულობა:

„აღარავინ ვარ; წარსულს მივაბარე ჩემი აფეთქებანი,  
სახელი და დღიური ტანსაცმელი – მედდებს,  
ცხოვრების ისტორია – ანესთეზიოლოგს, და სხეულიც – ქირურგებს“

პოეტი/ლირიკული გმირი უძრავად წევს ბალიშსა და ზენრის თასმებს შორის, როგორც თვალი სამუდამოდ გაშლილ ორ ქუთუთოს შორის. თეთრხალათიანი და თეთრჩაჩიანი ექთნები ისე გვანან ერთმანეთს, რომ მათი დათვლა შეუძლებელია. ისე რეცხავენ ლირიკულ გმირს, როგორც ზღვის კენჭს წყალი! ზრუნვა და მოვლა ერთგვარ სიმშვიდესაც უქმნის და ნეიტრალურ, ინდიფერენტულ მდგომარეობაშიც აგდებს. თან ეგუება საკუთარ ბედს, თან ვერა!

ლექსში ახალი სახე შემოდის, პოეტის ოჯახის ფოტო, რომელიც საწოლთან დევს:

---

<sup>1</sup> Critical Essays on Sylvia Plath by Linda W. Wagner. p. 23-30 G.K.Hall & Company. Boston.

<sup>2</sup> სილვია პლათი. ლექსები, ტიტები. ლელა სამნიაშვილის თარგმანი.

„და საოჯახო ფოტო, საიდანაც ჩემი ქმარ-შვილი შემომცინის.  
კანში მერჭობა მათი ღიმილი, ეს ორი ბაგეგახსნილი პატარა კაუჭი.“<sup>1</sup>

“My husband and child smiling out of the family photo;  
Their smiles catch onto my skin, little smiling hooks.”

ოჯახი არა სიმშვიდის, სიმყუდროვის, სითბოს, არამედ გაუცხოების კიდევ ერთი მიზეზი, „კაუჭი“ (hooks) – ამ სიტყვით მთარგმნელი ზუსტად გამოხატავს ლირიკული გმირის განწყობას, დამოკიდებულებას უახლოესი ადამიანების მიმართ. კიდევ ერთხელ გაიჟღერებს პოეტის სახელი და თვით-იდენტიფიკაციის პრობლემა:

„დინებას მივანდე რალაც-რალაცები. ოცდაათი წლის სატვირთო გემი  
ჯიუტად ეტმასნება ჩემს სახელსა და მისამართს.“<sup>2</sup>

მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული შედარება: პოეტი ქალი თავის თავს სატვირთო გემს ადარებს. თავის აფეთქებებთან დაშორებული, საავადმყოფოს თეთრ პალატაში, თეთრ სანოლზე მწოლიარე პოეტი/ლირიკული გმირი მართლაც ამ უკიდევანო სამყაროში, თავისუფალი ყოველგვარი ვალდებულებისა და მიჯაჭვულობისაგან, ერთადერთი, რაც ამოვარდნილია ამ კონტექსტიდან სწორედ ტიტებია, რომლებიც მას რეალურ სამყაროში აბრუნებენ. „მათ მოსვლამდე ჰაერი არ ფორიაქობდა“; ლირიკულ გმირსაც არავინ უთვალთვალებდა, მაგრამ მათი მოსვლის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა.<sup>3</sup>

„სახე აღარ გამაჩნია, მე ხომ გაქრობა ვისურვე,“ წერს პოეტი. აბსოლუტურად განსხვავებული შინაარსი შეიძინეს ამ სიტყვებმა პლათის თვითმკვლელობის შემდეგ. ლექსის ნეიტრალური ინტონაცია ამგვარი ზღვრულობის განცდას ნაკლებად აჩენს ან პოეტი იმდენად მიეჩვია უწონადობას, „სახის არქონას“, რომ „გაქრობის სურვილი“ მისთვის სრულიად ბუნებრივია. მოლოდინის თანახმად, ლექსის ფინალური აკორდები არ არის მხიარული: „ტიტები კი გალიაშია გამოსამწყვდევი საშიში მხეცებივით.“ სილვიას ეს ტიტები „უზარმაზარ აფრიკულ კატებს“ აგონებენ, რომლებიც მისთვის სასარგებლო ჰაერს ისრუტავენ.

„წყალი, გემოს რომ ვუსინჯავ, ზღვასავით თბილი და მლაშეა,  
ქვეყანა კი, საიდანაც ის მოედინება, ისევე შორეულია, როგორც  
ჯანმრთელობა“

ამ სიტყვებით სრულდება სილვია პლათის ცნობილი ლექსი „ტიტები“, რომელიც ამასთანავე ლექსი-წინასწარმეტყველებაც აღმოჩნდა. კიდევ

<sup>1</sup> Ariel, Sylvia Plath. Tulips p. 18-19.

<sup>2</sup> სილვია პლათი. ლექსები, ტიტები. ლელა სამინაშვილის თარგმანი.

<sup>3</sup> Critical Essays on Sylvia Plath by Linda W. Wagner. G.K.Hall & Company. Boston.

ერთხელ გამოიკვეთა ამერიკელი პოეტის მხატვრული სამყაროს სპეციფიკა, მისი სახეების მიღმა ზუსტად იკითხება პოეტის სულის ფორიაქი და ფატალური ფინალი! ამ ლექსის სახისმეტყველების ორიგინალობა, მოულოდნელობის ეფექტი ისეთივე განწყობას ქმნის, როგორც ოცდაათი წლის ახალგაზრდა, ჯან-ლონით სავსე, წარმატებული ქალისა და პოეტის თვითმკვლელობა, რომლის გამოცხადებული სუიციდისა, როგორც ჩანს, ბოლომდე არავის სჯეროდა!

სილვია პლათი იყო მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პოეტი. ჯერ კიდევ თვითმკვლელობამდე, 30 წლის ასაკში, პლათს უკვე ჰყავდა მიმდევრები ლიტერატურულ წრეებში. მომდევნო წლებში მისმა ნაწარმოებებმა მიიზიდა უამრავი მკითხველი, რომლებიც მის სტროფებში ხედავდნენ პოეტის მცდელობას ისაუბროს სასოწარკვეთაზე, ძლიერ ემოციასა და სიკვდილით შეპყრობილობაზე. ჟუნალ “The New York Times” წიგნის მიმოხილვაში, ჯოის კაროლ ოატსმა პლათი დაახასიათა, როგორც „ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ურთიერთსაინანაღმდეგო აზრის გამომწვევი, ომის შემდგომი პოეტი, რომელიც ინგლისურ ენაზე წერდა“. პლათის უაღრესად ავტობიოგრაფიული ლექსები ასახავენ მის რაციონალურ სევდას, რთულ ქორწინებას პოეტ ტედ ჰიუზთან, ავტორის გადაუჭრელ კონფლიქტს მშობლებთან, საკუთარ თავსა და შეხედულებებთან.

ინტერნეტ გვერდზე World Socialist მარგარეტ რიზი აღნიშნავდა, რომ არა აქვს მნიშვნელობა პლათი ბუნებაზე წერდა თუ ინდივიდის სოციალურ უთანასაწორობაზე, იგი ყველა თემას „ზრდილობის ჩარჩოს“ აცლიდა, დინების საინანაღმდეგოდ მიცურავდა. პოეტი საკუთარ ნაწერებში აღწერდა ელემენტარულ ძალებსა და პირველად შიშებს. ამით იგი აშკარად და ღიად მიანიშნებდა იმ დაძაბულობაზე, რომელიც ამერიკული ცხოვრების ზედაპირზე ლივლივებდა, ომის შემდგომ პერიოდში. 1932 წელს ბოსტონში დაბადებული პლათი, გერმანელი ემიგრანტის, კოლეჯის პროფესორის, ოტო პლათისა და მისი ყოფილი სტუდენტის აურელია შობერის ქალიშვილი იყო. პოეტის ცხოვრება უცებ შეიცვალა 1940 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ. მისი რამდენიმე ლექსი და მათ შორის ცნობილი „მამილო“ ეხება პოეტის რთულ ურთიერთობას მკაცრ მამასთან. სილვიამ მამის გარდაცვალება უცნაურად მიიღო, ეს მის ღალატად, გაქცევად ჩათვალა. რამაც საბოლოოდ დაასრულა მათი რთული, წინააღმდეგობრივი ურთიერთობა და რაც პლათის პოეზიის კუთვნილებად იქცა. ფინანსურმა პრობლემებმა აიძულა პლათის ოჯახი საცხოვრებლად სხვა შტატში გადასულიყო. სილვია ნიჭიერი სტუდენტი იყო, უამრავი ჯილდო და სტიპენდია ჰქონდა მიღებული. იგი სწავლობდა სმიტის კოლეჯში სტიპენდიით. წარმატებული პერიოდი გაგრძელდა მადმუაზელის ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებით, სადაც ჟურნალის რედაქციის

პრესტიჟული სტუმრის ტიტული მოიპოვა. უნივერსიტეტში სწავლის ბოლო წლებში დაეწყო მძიმე დეპრესიის სიმპტომები, რამაც, საბოლოოდ, სიკვდილამდე მიიყვანა. 19 წლის ასაკში, საძილე აბებით, მან პირველად სცადა თვითმკვლელობა, თუმცა გადარჩა. პოეტის გამოცდილება დეპრესიის შეტევასა და გამოჯანმრთელებაზე დაედო საფუძვლად მის რომანს „ზარხუფი“. ნიგნის მოყვარულთა ყველაზე ავტორიტეტულმა ინტერნეტ-პორტალმა Goodreads, XX საუკუნის საუკეთესო ნიგნების რეიტინგი გამოაქვეყნა. სიაში შესულ 33 ნიგნს შორის არის სილვია პლათის „ზარფუხიც,“ გასული ასწლეულის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული რომანი. საბოლოო გამოჯანმრთელების შემდეგ, პლათი დაუბრუნდა სწავლას. ფულბრაიტის სტიპენდიის მოპოვების შემდეგ, იგი ინგლისში კემბრიჯის უნივერსიტეტში წავიდა სასწავლებლად, სადაც შეხვდა პოეტ ტედ ჰიუსს. ისინი 1956 წელს დაქორწინდნენ. სწორედ მათი თანაცხოვრების პერიოდში დაიწერა რომანი „ზარხუფი“ და ლექსების პირველი კრებული „კოლოსი“. ორივე ნიგნს დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. 1962 წელს, მათი ქორწინების დასრულების შემდეგ, პლათი, ორ შვილთან ერთად, წავიდა და შემოქმედებითი აფეთქების შემდეგ დაწერა „არილი“. საბოლოოდ კი, თავი მოიკლა, გაზით, საკუთარი სახლის სამზარეულოში.

ზოგიერთი კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ საზოგადოების რეაქცია და განსაკუთრებული ინტერესი „ზარხუფისა“ და „არილის“ მიმართ, პლათის თვითმკვლელობის შედეგია. სწორედ სუიციდმა აქცია მისი შემოქმედება ასე პოპულარული. სიცოცხლეში სილვია პლათის შემოქმედებას, პოეტური ნრეების გარდა, ცოტა თუ იცნობდა, სიკვდილის მერე ბევრმა გაიცნო. პლათის თვითმკვლელობამ თითქოს მისი სიცოცხლე უფრო რეალურად აქცია, თითქოს ეს სამხილი იყო საჭირო მისი პოპულარობის გაზრდისთვის.

ზოგიერთი ფემინისტი, პლათს ხატავდა როგორც ქალს, რომელიც მკაცრ მამას, მოღალატე ქმარსა და არასასურველ დედობას შეეწირა. ზოგიერთი კრიტიკოსი მას მიიჩნევდა კონფესიონალურ პოეტად, რომელიც საუბრობდა იმ უნესრიგო, უკონტროლო საკითხებზე, რომლებიც ჩვენს შეგნებას სჭირდებოდა ან ფიქრობდა, რომ სჭირდებოდა. სწორედ „არილის“ წყალობით, პლათი პოპულარული გახდა, როგორც მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ამერიკელი პოეტი, რომლის მოქცევა ვინრო ლიტერატურულ ჩარჩოში არც ისეთი მარტივი აღმოჩნდა.

მწერალი ალვარესი, წერს თავის ნიგნში „სასტიკი ღმერთი“ თქვე შავაგეოდ, რომ „არილის“ ლექსებით, რომელიც შეადგინა და გამოსცა ტედ ჰიუსმა, პლათმა პოეზია და სიკვდილი განუყოფელ ცნებებად აქცია. ერთს მეორის არსებობის გარეშე არ შეეძლო. ეს სწორიცაა. საინტერესოა, რომ ლექსების უმრავლესობა ისე იკითხება, თითქოს ისინი პოეტის სიკვდილის მერე დაიწერა. რობერტ ვორენმა „არილს“ უნიკალური ნიგნი უწოდა: „ის ნიგნზე

მეტია, თითქოს რეალობის სასტიკი ქროლვა, თითქოს ვილაცამ ფანჯრის რაფა ჩაამტვრია შესანიშნავ ლამეს.“ „არილი“ ვერ შეიქმნებოდა სილვია პლათის პირველი პოეტური კრებულის „კოლოსის“ გარეშე. ამ სადებიუტო ნიგნმა ნიადაგი მოამზადა ამერიკელი პოეტის შემდგომი ლიტერატურული მემკვიდრეობისათვის! „კოლოსი“ ამ მხრივაც მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ამკარაა, რომ სილვია პლათი თეოდორ როეტეკეს და ტედ ჰიუზის გავლენას განიცდის. მნიშვნელოვანია მხოლოდ მისი პოეზიის ამ დიდი პოეტების შემოქმედებასთან გათანაბრება. ლექსების კრებული „კოლოსი“ ლიტერატურული საკითხებით დაინტერესებული ადამიანებისთვის მნიშვნელოვანი ნიგნია. თითქოს მკითხველს გამუდმებით უჩნდება მისი ხელახლა წაკითხვის სურვილი. ამ ნიგნმა სილვია პლათი ერთ-ერთ საუკეთესო პოეტად წარმოაჩინა, რომლის ძლიერი ფემინური ხმა მრავალი წელია ისმის.

ნიგნის სახელწოდება მრავლისმეტყველია, პოეტი კრებულის სახელითაც ამართლებს მკითხველის მოლოდინს! სილვია პლათის გონებაში გრანდიოზულობა და უწყვეტობის გრძნობა დომინირებს. ის ერთდროულად აღმერთებს ბუნებას და ეშინია კიდეც მისი. ამ ლექსებში დამალული საფრთხის მოსალოდნელი შიში იკითხება, რომელიც უფრო ადამიანთა გაძლეობას ანართობს, ვიდრე სიხარულს იწვევს. კლდესთან, ქარსა და ზღვასთან „დაუსრულებელ, სასტიკ“, ბრძოლაში „დროებით ბანალური გამირობა“ შეიძლება მოიპოვო, როგორც შემდეგ ლექსებშია: Point Shirley da The Hermit at Outermost House, მაგრამ, საბოლოოდ, ბუნება ადამიანს ამარცხებს და მასზე იმარჯვებს.

A labour of love, and that labour lost.  
Steadily the sea  
Eats at Point Shirley. (Plath, 1998: 56)

პლათისთვის ადამიანის მიერ გადაკეთებული ლანდშაფტი უმნიშვნელო და უინტერესო ხდება. მას პირველყოფილი, ხელუხლებელი ბუნება იტაცებს. კემბრიჯის ნოსტალგიით შეპყრობილი, გრინჩესტერ მედოუში სეირნობისას აღნიშნავდა, რომ „ჩიტები ცერა თითის ხელებია, გედები მოთვინიერებული, წყლის ვირთხა სასაცილოდ გრძნობს თავს, როცა იგი შეიგრძნობს ბუნების არასტუმართმოყვარეობას ადამიანის მიმართ.“ (Wagner, 1984: 28)

პოეტისთვის ქარი და ზღვა ბუნების ის ძალებია, რომლებიც დაიმორჩილებენ ადამიანთა მოდგმას ან მოთმენით დაელოდებიან, სანამ თვითონ არ გადაშენდებიან და მათ ადგილს არ დაიკავებენ.

სილვია პლათის ლექსში „სუსტი ადამიანები“ საფრთხე თვითონ ადამიანებიდან მომდინარეობს, პოეტი სუსტ ადამიანებს საფრთხედ აღიქვამს, ის შიშობს, რომ “Their talent to persevere/ in thinness, to come, later,/ into our bad dreams.”. ლექსი Mushroom („სოკო“) ავი საფრთხის მომასწავებელია, რო-



გორც კიბოს გამავრცელებელი ვირუსი. ლექსში „მოქანდაკე“ ნაჩვენებია ის ფორმები, რომლებიც მოქანდაკემ ეს ესაა უნდა შექმნას, იგრძნობა უსხეულო რეალობები, რომლებიც შემდეგ არა რაიმე ხელოვნების ნიმუშებად, არამედ ჯუჯებად იქცევიან.

His chisel bequeaths  
Them life livelier than ours.  
All The Dead Dears.

ლექსის ეპიგრაფში, შენიშვნის სახით, ვკითხულობთ: „კემბრიჯის არქეოლოგიურ მუზეუმში, მეოთხე საუკუნის ქვის კუბოში მოთავსებულია ქალისა და თაგვის ძვლები. ქალის კოჭის ძვალი ოდნავ დაღრღნილია“. სწორედ ეს ფაქტი იქცა მისთვის ამ ლექსის ინსპირაციის წყაროდ:

These three, unmasked now, bear  
Dry witness  
To the gross eating game  
How they grip us through thick and thin,  
There barnacle dead!  
This lady here's no kin  
Of mine, yet kin she is: she'll suck  
Blood and whistle my marrow clean  
To prove it... (Plath, 1998)

სიახლოვე, რომელსაც სილვია პლათი გრძნობს ნებისმიერი მსხვერპლის, განწირულის, უცხო მამართ სიბრალულის გამოხატულება კი არ არის, არამედ ნათესაური (ახლობლური) გრძნობაა ყველაფერთან, რაც არსებობს და არსებობდა. თუმცა ავისმომასწავებლად საშიში განწყობაც გამუდმებით იგრძნობა. მაგალითად, ლექსში “Blue Moles” იგი თანაუგრძნობს საზოგადოებისაგან გარიყულ, მარგინალ ადამიანებს, ამაზე ამახვილებს ყურადღებას ლექსში „მათხოვრები“. ერთ-ერთი კონცეპტი, რომელიც იგრძნობა სილვია პლათის ლექსებში არის უკეთესი სამყაროს არსებობით გამონვეული გაღიზიანება. თავის ადრეულ *leqsebSi Black Rook In Rainy Weather* პლათი საკუთარ პოეტურ ნიჭს აღწერს ნახევრად ფილოსოფიურად და ნახევრად ირონიით. ის ელოდება არა სასწაულს, არამედ მცირე სიმართლეს, რომ ყოველდღიური ცხოვრება უფრო საინტერესო ყოფად აქციოს.

To seize my sense, haul  
My eyelids up, and grant  
A brief respite from fear  
Of total neutralit

განსხვავება ტედ ჰიუზისა და სილვიას მგრძნობელობას შორის არ საჭიროებს ხაზგასმას, არის მსგავსებები – ძლიერი ნარატიული უნარი, ვერბალური სიზუსტე, თანმიმდევრობა, ოჯახური ამბების შეუზღუდავი აღწერებით გამოყენება პოეზიაში, მაგრამ მგრძნობელობა მათ პოეზიაში არსებითად განსხვავებულია. ტედ ჰიუზი ჰეროიკული და აგრესიულია, სილვია პლათი კი, ფიქრობს და ყოყმანობს. მათი ღმერთებიც განსხვავებულია. ჰიუზის ღმერთი ვეფხვის ღვთაებაა, სილვია პლათის ღმერთები „არამეგობრული ღმერთები, ჩრდილების ღმერთებია.“ ის უარყოფს სხვა ღვთაებებს, მხოლოდ მათ შეუძლია ისევ „მამა“ დაუძახოს. ამ უაღრესად რელიგიური სიტყვით მიმართვა ღმერთისადმი, დაცლილია პირადი გრძნობებისაგან, ის უფრო დაკავშირებულია ჰალუცინაციებსა და ვარაუდებთან.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Dickle M. Sylvia Plath's Narrative Strategies , The Iowa Review. 1982.
2. Hardwick E. On Sylvia Plath, The New York Book Review. 1971.
3. Libby A. God's Lioness and the Priest of Sycorax: Plath and Hughes. University 1974.
4. Plath S. The Colossus and other poems, Vintage International. New York. 1998.
5. Plath S. Ariel the Restored Edition, HarperPerennial. 2004.
6. Plath S. Letters home, Correspondence 1950-1963, HarperPerennial. 1992.
7. Rosenblatt J. Sylvia Plath: The Drama of Initiation, Duke University Press. 1975.
8. Stevenson A. Bitter Fame. Houghton Mifflin Company, Boston 1989.
9. Wagner, W.L. Critical Essays on Sylvia Plath. G.K.Hall & Company, Boston. 1984.

## **Sylvia Plath's Narrative Strategies According to the Poems Colossus**

**Nana Gagua**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, PhD student, American Studies*

### **Abstract**

The 20th century American poet Sylvia Plath, despite being acclaimed among academic societies, became much more popular after her death. Her poetry collection “Ariel” describes her last life events. Sylvia Plath's poetry belongs to the poetical movement “Confessionalism”. This is a poetry of a person or poetical “I”, which is focused on individual experiences, psyche and personal trauma. Confessional poets write from hidden topics to wider social themes. Sometimes the movement is classified as a type of post-

modernism. Confessional poetry or Confessionalism is a poetry of personal experiences. Only very intimate and human feelings and emotions are shared with readers! It talks about forbidden things, which used to be shameful, hidden and was considered as a pain of one person!

The poem “Tulips” represents a classical example of a confessional poetry. The poem outlines the specific of a poet’s poetical world. It is based on real experience: it is deep and personal, poetical speech is expressed, it’s metaphorical; The work is oriented on such forbidden topics as: sex, suicide, psychic anxiety.

Despite of her short life, post modernist poet Sylvia Plath left interesting poetical collections. In her poems, it is easily read and perceived: details of her difficult private life or working process. Simultaneously, ongoing social and political developing periods of the United States.